9. რეკომენდებულია მეტი მხარდაჭერა და ფინანსური რესურსების მოძიება, რათა ხელი შეეწყოს პედაგოგთა მობილობას და მეტი შესაძლებლობების შექმნას მოწვეული ლექტორების მოსაწვევად, რაც დაემატება გამოყენებული მეთოდების დიაპაზონს. მიზანშეწონილი იქნება სტუდიების/სახელოსნოების ციფრული ეკრანებით უზრუნველყოფა, რათა პედაგოგებმა სტუდენტებისთვის ლექციები თანამედროვე და ადვილად გასაგები ფორმით წარადგინონ.
10. რეკომენდებულია, გადაიხედოს სტუდენტთა შეფასების, უკუკავშირის,გასაჩივრების და სტუდენტების განვითარების მექანიზმებს.
11. რეკომენდებულია, უცხოური წამყვანი უნივერსიტეტების პროფესორების აქტიური ჩართვა სასწავლო პროცესში, რის შედეგადაც აკადემიის სტუდენტებისთვის ახალი

პერსპექტივები გაიხსნება. გარდა ამისა, სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს ინტერნაციონალიზაციის პროცესის გაძლიერებას და საერთაშორისო (პარტნიორ) უნივერსიტეტებთან ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებას.

12. ბოლო 5 წლის განმავლობაში, არ არის აღრიცხული სტუდენტების ჩართვა კონფერენციებსა და საგრანტო კონკურსებში, რომელიც უზრუნველყოფს მათი პროექტების დაფინანსებას. გაცვლითი პროგრამები დაინტერესებული სტუდენტების რაოდენობა ასევე მინიმალურია. ამიტომ რეკომენდებულია, აკადემიამ კიდევ უფრო წაახალისოს სტუდენტები და აამაღლოს ცნობიერების დონე, რათა გაიზარდოს მათი მონაწილეობა მსგავს კონკურსებში.
13. რეკომენდებულია, 1,2,5,6,7 და 8 საგანმანათლებლო პროგრამებში როგორც აკადემიური პერსონალის, ისე მოწვეული ლექტორების განახლება.
14. რეკომენდებულია, სტუდენტებისა და მოწვეული ლექტორების მეტი ჩართულობა საერთაშორისო პროექტებში.
15. რეკომენდებულია, კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სემინარები უზრუნველყოფილი იქნეს მასალებითა და ინსტრუმენტებით ისე, რომ არ შეფერხდეს სტუდენტის პრაქტიკული სასწავლო პროცესი.
16. რეკომენდებულია, სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელები აქტიურად ჩაერთონ საერთაშორისო პროექტებში (გამოფენები, ბიენალები, ვორქშოპები და ა.შ.). სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელებმა უნდა უზრუნველყონ სასწავლო პროცესის წარმართვა სწავლების მეთოდების თანამედროვე ტენდენციებით. საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელებმა სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში, უნდა შეარჩიონ შესაბამისი კვლევის, სწავლების მეთოდი.
17. რეკომენდებულია, პროგრამის განვითარების ხელშესაწყობად ჩატარდეს აკადემიური/ინოვაციური სასწავლო ტრენინგები მოწვეული/აკადემიური პერსონალისთვის.
18. რეკომენდებულია, რეგულარულად ჩატარდეს პერსონალის გამოკითხვები და ანალიზი, რათა ხელი შეეწყოს პროგრამის განვითარებას.
19. რეკომენდებულია, მოწვეულ/აკადემიურ პერსონალს უნივერსიტეტის შიდა სიახლეების, აქტივობებისა და შესაძლებლობების შესახებ აკადემიის ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაეგზავნოს წერილობითი ინფორმაცია.
20. რეკომენდებულია, პრაქტიკული სამუშაოსთვის განკუთვნილი ძირითადი აღჭურვილობა და ხელსაწყოები მოწესრიგდეს/განახლდეს.
21. რეკომენდებულია, სილაბუსებში მითითებული წიგნები ხელმისაწვდომი გახდეს ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში.
22. რეკომენდებულია, რომ დეტალურად გაწერილი ბიუჯეტები შეიცავდეს ხარჯების ჩამონათვალს ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისათვის: რამდენი დაიხარჯა ლიცენზირებულ პროგრამულ უზრუნველყოფაზე, ტრენინგების ხარჯები უფრო დეტალურად უნდა გაიწეროს და ა.შ.
23. რეკომენდებულია, უზრუნველყოფილ იქნეს ხარისხის კულტურის ჩამოყალიბება და პროგრამის პერსონალის ჩართულობა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში.
24. რეკომენდებულია, შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გაზრდა პროგრამების შეფასებაში და შედეგების ანალიზის უზრუნველყოფა ინდივიდუალური პროგრამის დონეზე.

კლასტერის საერთო რჩევები:

1. სასურველია, დიზაინის კომპონენტის გაძლიერება კლასტერში გაერთიანებულ ყველა პროგრამაში.

2. სასურველია, პროგრამის პერსონალში, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შესახებ, ინფორმირებულობის დონის ამაღლება.
3. სასურველია, შეფასების პროცესი გახდეს უფრო გამჭვირვალე სტუდენტებისთვის.
4. სასურველია, თუკი სტუდენტები, მათი ხელმძღვანელისგან, დროულად მიიღებენ შეფასებასთან დაკავშირებულ უკუკავშირს.
5. სასურველია, თუკი ხელმძღვანელები სტუდენტებთან ერთად განიხილავენ სწავლების თანამედროვე მეთოდებს და მათი ჩართულობით სამაგისტრო პროგრამაში დაინერგება სწავლების თანამედროვე მეთოდები.
6. სასურველია, წახალისდეს უფრო დეტალური და საფუძვლიანი გარე კოლეგიალური რეცენზირება პროგრამის განვითარებისთვის. შესაძლოა ხელსაყრელი აღმოჩნდეს, კოლეგიალური შეფასებისა და კომუნიკაციისთვის სპეციალურად შემუშავებული ფორმა.
7. სასურველია, პროგრამების შესახებ ღირებული ინფორმაციის მისაღებად, დაინტერესებულ მხარეებთან და მათ შორის ფოკუს ჯგუფების, დიალოგის, დისკუსიებისა და მრგვალი მაგიდების შემდგომი წახალისება და გაძლიერება.

„მხატვრული მინის“საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის რეკომენდაციები:

1. ვინაიდან მინის დიზაინი ინტეგრირებულია დიზაინის ფაკულტეტში, დისციპლინათაშორისობა რეკომენდებულია, რომ უფრო მეტად იყოს ინტეგრირებული სასწავლო შინაარსში. მინა ინტერიერში, არქიტექტურაში, მინის, როგორც მასალის პრაქტიკული გამოყენება და ფუნქცია.
2. რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს უცხო ენების სწავლება და განვითარდეს ამ სფეროში გამოყენებული უახლესი ტექნოლოგიების შემოტანით.
3. რეკომენდებულია, პრაქტიკული სამუშაოსთვის განკუთვნილი ძირითადი აღჭურვილობის და ხელსაწყოების მოწესრიგება.

„მხატვრული მინის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის რჩევები არ გაცემულა.

„მხატვრული მინის“სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, გაიზარდოს ფოკუსირება კვლევაზე დაფუძნებულ დიზაინზე, რათა მათ, ვისაც არ უსწავლია ეს მიმართულება ბაკალავრიატის საფეხურზე, შეეძლოთ თავიანთი სწავლა მიმართონ მასალების კვლევაზე. კურიკულუმში შეიტანეთ საერთაშორისო კონკურსებში, გამოფენა-ბაზრობებსა და სხვა აქტივობებში მონაწილეობა.
2. რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს უცხო ენების ცოდნა და განვითარდეს ტექნიკური ბაზა ამ სფეროში გამოყენებული უახლესი ტექნოლოგიების შემოტანით.
3. რეკომენდებულია, პრაქტიკული სამუშაოსთვის განკუთვნილი ძირითადი აღჭურვილობის და ხელსაწყოების მოწესრიგება.

„მხატვრული მინის“სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვისრჩევები არ გაცემულა.

„მხატვრული კერამიკის“საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, გაგრძელდეს ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.

„მხატვრული კერამიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის რჩევები არ გაცემულა.

„მხატვრული კერამიკის“სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, გაგრძელდეს ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.

„მხატვრული კერამიკის“სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის რჩევები:

1. სასურველია, დისციპლინათაშორისობის გაძლიერება სხვადასხვა მასალის

კომბინაციით და ძლიერი საერთაშორისო ბრენდების შექმნაზე ფოკუსირებით.

„საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგ რამისთვის რეკომენდაციები:

1. ტექნოლოგიურ დონეზე არსებული მტკიცე ტრადიციის მიუხედავად, რეკომენდებულია ახალი ტექნოლოგიების წილის გაზრდის აუცილებლობა პროექტის განვითარების ადრეულ ეტაპებზე და მთლიანობაშიც.
2. რეკომენდებულია, ტექნიკური ბაზის განვითარება ამ სფეროში გამოყენებული უახლესი ტექნოლოგიების შემოტანით და შესაძლებლობების გაფართოება კეთილმოწყობის კუთხით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს შესაბამისი სასწავლო პროცესი.
3. რეკომენდებულია, პროგრამისთვის საჭირო თანამედროვე სახელმძღვანელოების/წიგნების ხელმისაწვდომობის გაზრდა.

„საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგ რამისთვის რჩევები არ გაცემულა.

„საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგ რამისთვის რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, გაიზარდოს აქცენტი კვლევაზე და საპრეზენტაციო ტექნიკებზე მუშაობის მიმართულებით.
2. რეკომენდებულია, ტექნიკური ბაზის განვითარება ამ სფეროში გამოყენებული უახლესი ტექნოლოგიების შემოტანით და შესაძლებლობების გაფართოება კეთილმოწყობის კუთხით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს შესაბამისი სასწავლო პროცესი.
3. რეკომენდებულია, პროგრამისთვის საჭირო თანამედროვე სახელმძღვანელოების/წიგნების ხელმისაწვდომობის გაზრდა.

„საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგ რამისთვის რჩევები არ გაცემულა.

„ავეჯის პროექტირება და ხის მხატვრული დამუშავების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პრო გრამისთვის რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, მეტი აქცენტი გაკეთდეს პროექტირების ისეთ პრინციპებზე, როგორიცაა მდგრადობა, ფუნქციონირება და ავეჯის ინდუსტრიაში არსებულ გლობალურ საკითხებზე რეაგირება.
2. რეკომენდებულია, ტექნიკური ბაზის განავითარება ამ სფეროში გამოყენებული უახლესი ტექნოლოგიების შემოტანით.

„ავეჯის პროექტირება და ხის მხატვრული დამუშავების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პრო გრამისთვის რჩევები:

1. სასურველია, CNC აპარატის სამუშაოების ჩართვა სასწავლო პროცესში.

„ავეჯის პროექტირება და ხის მხატვრული დამუშავების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგ რამისთვის რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, მეტი აქცენტი გაკეთდეს პროექტირების ისეთ პრინციპებზე, როგორიცაა მდგრადობა, ფუნქციონირება და ავეჯის ინდუსტრიაში არსებულ გლობალურ საკითხებზე რეაგირება.
2. რეკომენდებულია, ტექნიკური ბაზის განავითარება ამ სფეროში გამოყენებული უახლესი ტექნოლოგიების შემოტანით.

„ავეჯის პროექტირება და ხის მხატვრული დამუშავების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგ რამისთვის რჩევები:

1. სასურველია, CNC აპარატის სამუშაოების ჩართვა სასწავლო პროცესში.

სხდომას შემოუერთდნენ მარინა ქავთარაძე და ნინო ჭალაგანიძე.

2. მეორე საკითხი: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "ხელოვნების ისტორიისა და თეორიის" საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერს აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1		ხელოვნების ისტორია და თეორია

	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	Art History and Theory
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული 13/12/2012 N795
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0213 სახვითი ხელოვნება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	შუახევის რაიონი, ს. ტაკიძეები (ხიჭაური)
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ხელოვნების ისტორია და თეორია Art History and Theory
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული 13/12/2012 N805
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ხელოვნების ისტორიისა და თეორიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-

11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0213 სახვითი ხელოვნება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	შუახევის რაიონი, ს. ტაკიძეები (ხიჭაური)
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტი სარა ბენეტი უპირველეს ყოვლისა შეეხო საბაკალავრო პროგრამას ისტორიისა და თეორიის შესახებ არქიტექტურასა და ზოგადად ხელოვნებაში. აქ ექსპერტმა გამოყო ხელოვნების სფეროში პედაგოგიური საქმიანობისთვის მომზადების საკითხი, როგორც ერთ-ერთი სფერო, რომელიც კადრების ნაკლებობას განიცდის. ექსპერტთა მოსაზრებით, პირველი სტანდარტი არის მეტწილ შესაბამისობაში და სწავლის მიზნები და შედეგები ძირითადად ერთმანეთთან თანხვედრაშია. ტრანსფერული უნარების განვითარებასთან არსებობდა ხარვეზები, ექსპერტთა მოსაზრებით საერთაშორისო მიმართულებით კვლევა უნდა გაძლიერდეს და ამის შესახებ ჯამში 4 რეკომენდაცია გაიცა. დიდი მუშაობა იქნა გაწეული პროგრამის მიზნებისა და შედეგების დაკავშირებასთან დაკავშირებით, არსებობდა გამოწვევები და ამის შესახებ რეკომენდაციებიც გაიცა, ერთ-ერთი ასეთი იყო სამიზნე ნიშნულების დეტალური გაწერა, კრედიტების სწორი გადანაწილება და სხვ. ასევე გაიცა რეკომენდაცია უცხოურ ლიტერატურასთან დაკავშირებით, რომელიც ძალიან ბევრი იყო სილაბუსში და ძალიან ცოტა იყო ქართული ლიტერატურა. მეორე სტანდარტი მეტწილი შესაბამისობით შეფასდა, აქ ხაზი გაესვა სასწავლო გეგმაში ტექნიკურ პრობლემებს და მათ გამოსწორებას, რომ გეგმა ქართულ კანონმდებლობასთან მოსულიყო შესაბამისობაში. მომდევნო ხარვეზი იყო შეფასების კრიტერიუმების ბუნდოვანება, განსაკუთრებით საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ყველა და განსაკუთრებით მეორე სტანდარტის რეკომენდაციების შესრულება პროგრამას სტუდენტზე ბევრად უფრო კონცენტრირებულად აქცევს. დისტანციური სწავლების საკითხთან დაკავშირებით, ექსპერტმა განმარტა, რომ უნდა დაიხვეწოს დისტანციური სწავლა და შესაბამისობაში მოვიდეს საერთაშორისო სტანდარტთან. მესამე სტანდარტიც მეტწილი შესაბამისობით შეფასდა,

რეკომენდაციები პირველ რიგში უკავშირდებოდა სტუდენტების კონტაქტს სხვა უნივერსიტეტებთან სხვადასხვა აქტივობებით, რაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ამ უნივერსიტეტისთვის მისი ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს საერთაშორისო პროგრამებში სტუდენტების მონაწილეობას. აქვე აღინიშნა, რომ უნივერსიტეტი ცდილობს შეეჭიდოს ამ გამოწვევას. მომდევნო რეკომენდაცია შეეხო უნივერსიტეტის ვებსაიტს, რომელზეც არ იყო ინფორმაცია განახლებული და მრავალი სხვა ხარვეზი იქნა აღმოჩენილი, რომელთ გადაჭრაც დაუყოვნებლივ არის შესაძლებელი. მეოთხე სტანდარტთან დაკავშირებით შეფასება ასევე იყო მეტწილი შესაბამისობა. აქვე აღინიშნა ექსპერტის მხრიდან, რომ აკადემიური პერსონალი უნივერსიტეტში არის ძალიან კომპეტენტური, ხაზი გაესვა იმ ფაქტორს, რომ სწავლა ამ უნივერსიტეტში უფასოა, უნივერსიტეტი კამპუსის ცხოვრების შესანიშნავი შესაძლებლობა არსებობს, ამ მიდგომებით შესაძლებელი ხდება ნებისმიერი ეკონომიკური მდგომარეობის მქონე სტუდენტის მიღება. ექსპერტმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის ეს პრაქტიკა იმსახურებს დაფასებას. ამ სტანდარტის რეკომენდაციებთან დაკავშირებით მთავარი საკითხი 4.3 რეკომენდაციაში იქნა მოცემული, რომლის მიხედვითაც აკადემიური პერსონალი მეტად უნდა იყოს ჩართული კონფერენციებში, კვლევებში, ამ მიმართულებით უნდა განავითაროს უნივერსიტეტმა საკუთარი პერსონალი. ამ მხრივ 3 რეკომენდაცია გაიცა, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. სხვა რეკომენდაცია რესურსებთან დაკავშირებით მონაცემთა ბაზების სტუდენტების მიერ გამოყენების ხელმისაწვდომობას შეეხო. მეხუთე სტანდარტის ნაწილში პროგრამა სრულ შესაბამისობაშია, 5.3 კომპონენტში შემავალი ორი რეკომენდაცია უნივერსიტეტს დაეხმარება პრობლემების აღმოჩენაში და მათ გადაჭრაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ექსპერტთა ჯგუფს მადლობა გადაუხადა. მან აღნიშნა, რომ სულ 33 რეკომენდაცია იქნა გაცემული და 15 მათგანი უკვე შესრულებულია. დანარჩენ რეკომენდაციებზე მუშაობა მიმდინარეობს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.

საბჭოს წევრმა ერმილე მესხიამ კითხვით მიმართა დაწესებულებას პრაქტიკულ კურსებთან დაკავშირებით მეშვიდე და მერვე სემესტრებში. საბჭო დაინტერესდა, ხომ არ უნდა ყოფილიყო უფრო მეტი უკვე არსებული კურსები ამ პრაქტიკული კურსების წინაპირობა. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ეს საკითხი გადაიხედება და სხვა კურსებიც იქნება პრაქტიკული კურსის წინაპირობა. საბჭოს წევრმა დაწესებულებას სთხოვა დაეზუსტებინა, თუ რას მოიცავდა მერვე სემესტრის პრაქტიკული კურსი. წარმომადგენელმა განმარტა, რომ კურსი მოიცავს საბაკალავრო ნაშრომისთვის სტუდენტის მომზადებას. საბჭოს წევრ თამარ სირაძის შეკითხვებიდან პირველი ეხებოდა ხატვა და სახვითი ხელოვნების კურსს, რომლის ძირითად ლიტერატურას წარმოადგენს 7,8,9 კლასის სახელმძღვანელოები, სწორედ ამის შესახებ იქნა მოთხოვნილი განმარტება დაწესებულებისგან. მეორე შეკითხვა შეეხო დამხმარე სახელმძღვანელოებს, რომელთა უმრავლესობაც რუსულია, ხოლო უნივერსიტეტში შესასწავლი ძირითადი უცხო ენა კი ინგლისურია. საბჭო დაინტერესდა, თუ აქვთ სტუდენტებს ცოდნა რუსულ ენაში და თუ ასე არ არის რატომ არ არის დამხმარე ლიტერატურა ინგლისურენოვანი, როცა მსგავსი სახელმძღვანელოები ინგლისურ ენაზე დიდი რაოდენობით მოიპოვება. დაწესებულების წარმომადგენელმა პირველ შეკითხვასთან დაკავშირებით განმარტა, რომ სტუდენტები ამ კურსით არ იღებენ სიღრმისეულ ცოდნას, შესწავლის საგანი ძალიან ზოგადია და სკოლის სახელმძღვანელოები აკმაყოფილებენ პრაქტიკულ იმ ცოდნას, რომლის მიღებასაც მოიცავს კურსის მიზნებს. მეორე კითხვასთან დაკავშირებით, წარმომადგენელმა განმარტა, რომ

მიმდინარეობს ლიტერატურის განახლების პროცესი, მაგრამ ამჯერად ძირითადად უცხოენოვანი ლიტერატურა რუსულ ენაზეა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყებისდრო: 15:01
დასრულებისდრო: 15:28

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "ხელოვნების ისტორიისა და თეორიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "ხელოვნების ისტორიისა და თეორიის" საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკდრედირაცია 7 წლის ვადით 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "ხელოვნების ისტორიისა და თეორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ

ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "ხელოვნების ისტორიისა და თეორიის" სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკდრედირაცია 7 წლის ვადით 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, რომ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის პროგრამის მიზნები უფრო მკაფიოდ ამზადებდეს კურსდამთავრებულებს სამომავლო დასაქმებისთვის, მაგალითად, უნდა უვითარებდეს ისეთ ტრანსფერულ უნარებს, როგორიცაა კომუნიკაცია, IT უნარები და გუნდური მუშაობა .
2. რეკომენდებულია შემუშავდეს ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებული დამატებითი მიზანი, რომელიც უნდა ასახავდეს საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაციის ძირითად საკითხებს. მაგისტრატურაზე ეს მიმართული უნდა იყოს საერთაშორისო კვლევის გამოცდილების განვითარებისკენ, ხოლო ბაკალავრიატის დონეზე ის უნდა უკავშირდებოდეს საერთაშორისო ცნობიერებას და ავსებდეს წარმოდგენილ მიზანს „შეუძლია სხვა ხალხის კულტურის პატივისცემა“.
3. რეკომენდებულია კლასტერში დაჯგუფებული ორივე პროგრამის სწავლის შედეგებს დაემატოს საერთაშორისო განზომილება. ზოგადად რომ ვთქვათ, ბაკალავრიატისთვის ეს დაკავშირებული უნდა იყოს საერთაშორისო კონტექსტებისა და კულტურების ცნობიერების ამაღლებასთან, ხოლო მაგისტრატურისთვის დაკავშირებული უნდა იყოს სამეცნიერო კვლევასთან საერთაშორისო კონტექსტში.
4. სწავლის შედეგების შეფასების რუკაში რეკომენდებულია სასწავლო კურსების მითითება სამივე დონეზე (შესავალი; გაღრმავება; გაძლიერება), რომლის მეშვეობითაც მიიღწევა მოცემული შედეგი.
5. რეკომენდებულია მიზნობრივი ნიშნების დადგენა შესაბამისი სასწავლო კურსებიდან შეფასების კონკრეტული ფორმის საფუძველზე, თითოეული სწავლის შედეგის გასაზომად.
6. რეკომენდებულია სილაბუსების გადახედვა, რათა ყველა მათგანი შეიცავდეს სრულ ინფორმაციას შეფასების კრიტერიუმებთან და რუბრიკასთან დაკავშირებით.
7. რეკომენდებულია, გადაიხედოს და განახლდეს დაწესებულების ვებგვერდზე არსებული ინფორმაცია, რათა ხელმისაწვდომის იყოს რეგულაციების მხოლოდ მოქმედი ვერსიები და სხვა რელევანტური დოკუმენტაცია.
8. რეკომენდებულია ინსტიტუციური კორპორატიული ელექტრონული საფოსტო ქსელის შექმნა.
9. რეკომენდებულია გააქტიურდეს პროგრამის პერსონალის ჩართულობა სამეცნიერო პროექტებში, კონფერენციებსა და აქტივობებში პროფესიული განვითარების მიზნით, პროგრამის სამეცნიერო ეფექტურობის ასამაღლებლად

10. რეკომენდებულია მემორანდუმების გაფორმება და თანამშრომლობის გაღრმავება ადგილობრივ უნივერსიტეტებთან, მათ შორის მსგავსი პროგრამების მქონე დაწესებულებებთან, რომლებიც ერთობლივ პროექტებს ახორციელებენ.
11. რეკომენდებულია ამოქმედდეს ტასუ- ს საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის და მათი ეფექტურობის შეფასების მექანიზმები.
12. რეკომენდებულია, გადაიხედოს და განახლდეს ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა.
13. რეკომენდებულია, რომ დაწესებულებამ უზრუნველყოს საერთაშორისო ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზებზე წვდომა ტასუ–ს შენობის გარეთაც.
14. რეკომენდებულია აკადემიური წერის კურსის ფარგლებში სავალდებულო გახდეს მონაცემთა ბაზების გამოყენება, რათა სტუდენტებმა ისწავლონ მონაცემთა ბაზების მოხმარება .
15. რეკომენდებულია, რომ საერთაშორისო მონაცემთა ბაზების გამოყენების ინსტრუქციები ხელმისაწვდომი იყოს დაინტერესებული მხარეებისთვის.
16. საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად რეკომენდებულია კვლევისა და განვითარების ბიუჯეტის გაზრდა.
17. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა ჩაატაროს და გააანალიზოს აკადემიური/ კვლევითი/ მოწვეული პერსონალის კმაყოფილების გამოკითხვები
18. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს, რომ სტუდენტები აფასებდნენ (კითხვარების ან სხვა საშუალებებით) ყოველ სავალდებულო სასწავლო კურსს თითოეული კურსის ბოლოს; მაგისტრანტები უნდა აფასებდნენ როგორც სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტის განხორციელებას, ასევე სამეცნიერო ხელმძღვანელობას.

კლასტერის საერთო რჩევები:

1. პროგრამის ერთი სწავლის შედეგის ფორმულირებისას სასურველია ბლუმის განახლებული ტაქსონომიიდან მაქსიმუმ ორი- სამი ზმნის გამოყენება კონკრეტული მოქმედების აღსანიშნავად
2. სასურველია გააქტიურდეს მუშაობა ერთობლივი კონფერენციების მიმართულებით, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე, რათა კონფერენციებში მონაწილეობა ხელმისაწვდომი იყოს ყველა სტუდენტისთვის
3. სასურველია, რომ დაწესებულებამ სრულად გამოიყენოს არსებული პორტალის შესაძლებლობები სტუდენტებსა და პერსონალს შორის კომუნიკაციისა და საგანმანათლებლო პროცესების ორგანიზების შემდგომი გაუმჯობესებისა და გამარტივების მიზნით
4. სასურველია, რომ დაწესებულებამ უფრო მეტი კარიერულ მხარდაჭერა გაუწიოს სტუდენტებს დასაქმების ყველა სფეროში, რომელიც გათვალისწინებულია პროგრამის კურიკულუმებით.
5. სასურველია შემოწმდეს თანამშრომლების შეგროვებული მონაცემები (CV–ები), რომლებიც თანმიმდევრული ფორმით უნდა იყოს წარმოდგენილი
6. სასურველია დაზუსტდეს მონაცემები პედაგოგების შესახებ. პროგრამის პერსონალის მონაცემთა ბაზა უნდა იყოს ზუსტი და შეესაბამებოდეს ფაქტობრივ სიტუაციას.
7. სასურველია უნივერსიტეტმა შეაგროვოს საერთაშორისო ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზების გამოყენების მაჩვენებლები, განსაკუთრებით სტუდენტების მიერ.
8. სასურველია უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ შეიმუშაოს სახსრების მოზიდვის სტრატეგია პროგრამების ბიუჯეტის გაზრდის უზრუნველსაყოფად.
9. სასურველია, რომ პროგრამის პერსონალმა გამოიყენოს განმავითარებელი ურთიერთდასწრება იმ უცხოელი კოლეგების მონაწილეობით, რომლებიც სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში/ სამეცნიერო- კვლევით ცენტრებში მუშაობენ.

"ხელოვნების ისტორიისა და თეორიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, რომ დამსაქმებლებმა და პროგრამის გუნდმა ერთად იმუშაონ, რათა უზრუნველყონ, რომ ბაკალავრიატის სწავლის შედეგები მოიცავს დასაქმებისთვის აუცილებელ ტრანსფერულ უნარებს
2. რეკომენდებულია დაიხვეწოს სილაბუსებში უცხოენოვანი ლიტერატურის გამოყენების სისტემა. ძირითად ლიტერატურაში უნდა შედიოდეს ლიტერატურა მშობლიურ ენაზე, რომელიც ჩაანაცვლებს უცხო ენაზე არსებულ შინაარსს, ან უნდა მომზადდეს შესაბამისი სალექციო კურსი
3. რეკომენდებულია სილაბუსების გადახედვა, რათა არცერთ მათგანში არ შედიოდეს საკონტაქტო საათების არანაკლებ 50%-ში ჩართულობა, როგორც ფინალურ გამოცდებზე დაშვების წინაპირობა.
4. რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს უნივერსიტეტის წესების არსებულ ეროვნულ რეგულაციებთან შეუსაბამობის აღმოფხვრა - საბაკალავრო ნაშრომი უნდა ჩაითვალოს სასწავლო კურსად და შესაბამისად, შეფასდეს - შუალედური და საბოლოო შეფასებებით.
5. საბაკალავრო ნაშრომის შეფასების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია დაწესებულებამ განსაზღვროს შეფასების რუბრიკები შეფასების თითოეული კრიტერიუმისთვის .

"ხელოვნების ისტორიისა და თეორიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის რჩევები:

1. სასურველია, დამხმარე ლიტერატურაში მშობლიურ ენაზე გამოცემული წიგნების რაოდენობის გაზრდა, ასევე ჩამონათვალის გამრავალფეროვნება თანამედროვე გამოცემებით.

"ხელოვნების ისტორიისა და თეორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის რეკომენდაციები:

1. „პროგრამის მოცულობა კრედიტებში“ - ნაწილში წერია: „პროგრამის მოცულობა არის 120 კრედიტი, მათ შორის: 60 სავალდებულო კრედიტი, 30 არჩევითი კრედიტი, 30 კრედიტი სამაგისტრო ნაშრომისთვის“. პროგრამას თან ერთვის სასწავლო გეგმა და მასში ნათქვამია, რომ: სავალდებულო ნაწილში არის სპეციალობის 10 დისციპლინა (50 კრედიტი), ინგლისური ენა (10 კრედიტი) და სამაგისტრო პრაქტიკა (10 კრედიტი), რაც ჯამში 70 კრედიტს შეადგენს. ეს არ შეესაბამება წინა ჩანაწერს და რეკომენდებულია, რომ კრედიტების მოცულობა და მათი განაწილება კომპონენტებზე მითითებული იყოს სასწავლო გეგმაში.
2. რეკომენდებულია დაიხვეწოს სილაბუსებში უცხოენოვანი ლიტერატურის გამოყენების სისტემა. ძირითად ლიტერატურაში უნდა შედიოდეს ლიტერატურა მშობლიურ ენაზე, რომელიც ჩაანაცვლებს უცხო ენაზე არსებულ შინაარსს, ან უნდა მომზადდეს შესაბამისი სალექციო კურსი
3. რეკომენდებულია გასწორდეს ტექნიკური შეცდომა პროგრამის სასწავლო გეგმაში და დაზუსტდეს, რომ სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობა არის ერთიანი სამაგისტრო გამოცდა.

4. რეკომენდებულია, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სამაგისტრო პროგრამაზე მიღების პროცედურაში საქართველოს კანონმდებლობასთან შეუსაბამობის აღმოფხვრა - კერძოდ, დაწესებულებამ უნდა შეცვალოს დებულება და მიღების წინაპირობად უნდა შეიტანოს გამოცდა სპეციალობაში (ზეპირი და/ ან წერილობითი) და არა გასაუბრება.
5. პროგრამის მიღების წინაპირობებში რეკომენდებულია დაზუსტდეს დებულება უცხო ენის გამოცდასთან დაკავშირებით - კერძოდ, კონკრეტული ენა, რომელშიც ჩატარდება გამოცდა, ცოდნის საჭირო დონე და ცოდნის დამადასტურებელი ალტერნატიული საშუალებები.
6. რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომის შეფასების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, დაწესებულებამ მკაფიოდ ჩამოაყალიბოს ქულების განაწილების პროცედურა და განსაზღვროს შეფასების რუბრიკები შეფასების თითოეული კრიტერიუმისთვის.
7. რეკომენდებულია, დაწესებულებამ შეიმუშაოს სამაგისტრო დისერტაციის ხელმძღვანელთა რაოდენობის მაგისტრანტების რაოდენობასთან შეფარდების დადგენის მეთოდოლოგია.

"ხელოვნების ისტორიისა და თეორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის რჩევები:

1. სასურველია პროგრამის „გ“ მიზანში მიეთითოს „ახალი სტრატეგიული მიდგომები“ სამუშაო გარემოსთან მიმართებაში, და ასევე სასურველია, რომ პროგრამის გუნდს უფრო დეტალური ახსნა-განმარტება მისცენ.
2. სასურველია გ2- ში მითითებული 'ახალი სტრატეგიული მიდგომები უფრო მეტად დაზუსტდეს და აიხსნას.
3. სასურველია შესავალი ტექსტი ა- 1- დან ა- 3- მდე: „ხელოვნებათმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულს აქვს ღრმა და სისტემატური ცოდნა, იცის მხატვრული კვლევის მეთოდები“ მეტი სიცხადისთვის გადაიხედოს.

3. მესამე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მათემატიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მათემატიკა / Mathematics
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-

8	კვალიფიკაციის დონე	მე-8
9	კვალიფიკაციის დასახელება	მათემატიკის დოქტორი PhD of Mathematics
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მათემატიკა, 0541
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	45
14	განხორციელების ადგილი	თამარ მეფის ქუჩა №59, ქუთაისი, სასწავლო კორპუსი №4, 4600, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტისდასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტმა მალტე ბრააკიმ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა საერთო ჯამში ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. გამოწვევები, რაც პროგრამას აქვს, არის პროგრამის მოქნილობის საკითხი, შეფასების კრიტერიუმების ნათლად ჩამოყალიბების და საბიბლიოთეკო საკითხის გაუმჯობესების საკითხი. მიუხედავად ამ მცირე პრობლემებისა, ექსპერტის შეფასებით პროგრამა ძირითადად გამართულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა ზაზა სოხაძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მან აღნიშნა, რომ დაწესებულება ძირითადად ეთანხმება რეკომენდაციებს და რამდენიმე ასპექტს ხაზი გაუსვა: სტუდენტის აკადემიური თავისუფლების

საკითხი გადაიჭრა დაწესებულებაში, ვინაიდან სავალდებულო კურსების ნაწილი გახდა არჩევითი. ინტერნაციონალიზაციის დახვეწასთან დაკავშირებით წარედგინა ექსპერტთა ჯგუფს დაწესებულების პოზიცია. ასევე დაწესებულება ეთანხმება შეფასებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციას, მაგრამ აქვე აღნიშნა წარმომადგენელმა, რომ სრულყოფილად რეკომენდაციის შესრულებისთვის, უნდა შეიქმნას ფაკულტეტის სადისერტაციო კომიტეტი, რასაც ინსტიტუციური გადაწყვეტილებები სჭირდება. დანარჩენი ორ რეკომენდაციას დაწესებულება ეთანხმება და ითვალისწინებს და მათი სრულყოფისთვის დაწესებულებაში ზომები, წარმომადგენლის მიხედვით, უკვე მიღებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, აქვს თუ არა უნივერსიტეტს ურთიერთობა ქვეყნის შიგნით სხვა უნივერსიტეტებთან. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ურთიერთობა აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტთან, საიდანაც უნივერსიტეტს ჰყავს მოწვეული ლექტორები. სხვა სახის ურთიერთობების დამყარების შესახებ დაწესებულების მიმართ რეკომენდაციაც არსებობდა და წარმომადგენლის განმარტებით, იგეგმება ხელშეკრულებების დადებაც სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყებისდრო: 15:54
დასრულებისდრო: 16:41

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მათემატიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით (2027 წლის 01 ივლისი) 2 წელიწადში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „$ბ^1$“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მათემატიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკდრედირაცია 7 წლის ვადით 2 წელიწადში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

1. სავალდებულო კურსების მკაცრად დაწესება არ არის შესაფერისი დოქტორანტებისთვის მათი ინდივიდუალური სადისერტაციო თემებით და ეწინააღმდეგება აკადემიურ თავისუფლებას. ამიტომ, რეკომენდებულია სავალდებულო კურსები შეიცვალოს არჩევითი კურსებით, რაც საშუალებას მისცემს თითოეულ დოქტორანტს მოიყვანოს თავისი სასწავლო გეგმა კონკრეტულ კვლევით პროექტთან შესაბამისობაში. ხელმძღვანელებს შეუძლიათ უზრუნველყონ გზამკვლევობა ამ არჩევითი საგნების შერჩევისას.
2. რეკომენდებულია, დეპარტამენტმა უზრუნველყოს სტუდენტებსა და დაკავშირებული სფეროების მკვლევარებს/მეცნიერებს შორის აკადემიური გაცვლის დამატებითი შესაძლებლობები. ამის მიღწევა შესაძლებელია, მაგალითად, უწყვეტი მოწვევების პროგრამის მეშვეობით, რომელიც მოიცავს მოწვეული სპეციალისტების რეგულარულ ლექციებს, სპეციალური ონლაინ სემინარების დაარსებით, საქართველოში ან სხვა ქვეყნებში არსებული ონლაინ სემინარების გაზრდილი გამოყენების გზით.
3. იმისათვის, რომ სტუდენტები ფლობდნენ კვლევის ჩასატარებლად აუცილებელ ფუნდამენტურ ცოდნას, რეკომენდებულია უნივერსიტეტმა გადააფასოს სასწავლო კომპონენტის კურსებისთვის დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვრული მაჩვენებელი.
4. რეკომენდებულია, მკაფიო და ცხადი გახდეს კვლევის კომპონენტის შეფასების სისტემა და ხაზი გაესვას ერთჯერად შეფასებასა და პერიოდულ განმავითარებელ შეფასებას დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პროცესში.
5. ორივე საგამოცდო კომპონენტის (დისერტაცია და ზეპირი დაცვა) შეწონვა საერთო შეფასების განსაზღვრისას არ უნდა იყოს დამოკიდებული კონკრეტულ დისერტაციაზე და უნდა იყოს ერთნაირად რეგულირებული და გამჭვირვალე როგორც გამომცდელების, ისე სტუდენტებისათვის. ამის მისაღწევად, რეკომენდებულია, რომ ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებამ დაადგინოს ორივე საგამოცდო კომპონენტის (დისერტაცია და ზეპირი დაცვა) თანმიმდევრული შეწონილობა საბოლოო შეფასების გამოთვლისას.
6. რეკომენდებულია, დაზუსტდეს პროცესი, რომლითაც სადისერტაციო კომიტეტი განსაზღვრავს საბოლოო სიტყვიერ შეფასებას.
7. რეკომენდებულია, ხელმძღვანელებმა პერსონალური დახმარება უნდა გაუწიონ სტუდენტებს ინდივიდუალური სალექციო გეგმების შემუშავებაში მათი სადოქტორო პროექტების დაწყებისას.
8. რეკომენდებულია, უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამით განსაზღვრული საგნების სილაბუსში მითითებული ყველა ძირითადი ლიტერატურით, ბეჭდური ან ელექტრონული ფორმით.
9. რეკომენდებულია სტუდენტებს მიეცეთ თავიანთი ხელმძღვანელების ანონიმურად შეფასების შესაძლებლობა. იმ შემთხვევაში, თუ ანონიმური შეფასება შეუძლებელია (მაგ. თუ ხელმძღვანელის და სტუდენტების რაოდენობა ძალიან მცირეა), ფაკულტეტმა უნდა მისცეს შეფასებების ერთობლივი წესით განხორციელების შესაძლებლობა.

რჩევები:

1. სასურველია, რიცხვითი მათემატიკის, გაფართოებული სტატისტიკის, სტოქასტიკისა და/ან ფინანსური მათემატიკის ლექციების კურიკულუმში ჩართვა, რათა გაიზარდოს კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები.
2. მიზანშეწონილია საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება.

3. მიზანშეწონილია ფაკულტეტმა გააფართოვოს ძირითადი მათემატიკური სახელმძღვანელოების და კვლევითი მასალების კოლექცია (მაგ., ლექციის ჩანაწერები), რომელიც გასცდება ძირითადი კურსის ლიტერატურას, რათა მხარი დაუჭიროს და ხელი შეუწყოს დამოუკიდებელ კვლევით აქტივობებს.
4. სასურველია, მონაცემთა ბაზების ხელმისაწვდომობა, როგორიცაა Web of Science, მოწმდებოდეს და უნდა ხდებოდეს პოტენციური გათიშვების მონიტორინგი.
5. სასურველია, დეპარტამენტმა გამოავლინოს ახალი დამსაქმებლები საგანმანათლებლო სექტორის გარეთ, რათა გაზარდოს და გაამრავალფეროვნოს დასაქმების შესაძლებლობები.

საკითხის განხილვის დაწყებამდე საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

4. მეოთხე საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა.

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინგლისური ფილოლოგია English Philology
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	12 ივლისი 2022, გადაწყვეტილება N794250
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრი / MA in English Philology
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0231 ენის დაუფლება
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	კოსტავას 77ა, თბილისი, IV კორპუსი , 0171, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი ნინო ჯოჯუა მიესალმა საბჭოს. პირველი და მეორე სტანდარტის რეკომენდაციები სრულიად იქნა შესრულებული დაწესებულების მიერ, სრულად შესრულდა მეოთხე ნაწილის ორი კომპონენტი, ხოლო მეხუთე ნაწილის ერთი. ექსპერტის განმარტებით, პირველი რეკომენდაცია რომელიც ლიტერატურის განახლებას ეხებოდა სამ კურსთან დაკავშირებით, უკვე გაზიარებულ იქნა უნივერსიტეტის მიერ და უკვე გადადგმულია ნაბიჯები. შემდეგი რეკომენდაცია კრედიტების რაოდენობას შეეხო, რომელიც ნაწილობრივ, უკვე იქნა გაზიარებული. ერთ კურსთან დაკავშირებით, ლიტერატურის კრიტიკა, თეორია და ისტორია უნივერსიტეტი არ დაეთანხმა რეკომენდაციას და არ იზარებს მას, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია,რომ აღნიშნული რეკომენდაცია კიდევ ერთხელ უნდა იქნეს გადახედილი. სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურასთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ლიტერატურის დიფერენციაცია სილაბუსებში, დაწესებულებამ უკვე გადადგა ნაბიჯები და გაიმიჯნა სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურები. კურსის პროექტის მენეჯმენტთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ სილაბუსში უნდა დაზუსტდეს, თუ რას მოიცავს ხსენებული აქტივობები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციებისთვის. მან აღნიშნა, რომ რეკომენდაციები დეტალურად იქნა განხილული დაწესებულების მიერ და უმრავლესობა გაზიარებულ იქნა. წარმომადგენლის მტკიცებით, რეკომენდაციები, რომლებსაც უნივერსიტეტი არ დაეთანხმა, განიმარტა და დასაბუთდა შესაბამისი არგუმენტებით. გარდა ამისა, უნივერსიტეტი ატარებს მონიტორინგებს ყველა პროგრამაზე და მოდიფიცირების საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება აუცილებლად გაითვალისწინებს რეკომენდაციებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.

საბჭოს შეკითხვები არ ჰქონდა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:51
დასრულების დრო: 16:54

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის“ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის“ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2023 წლის 26 დეკემბრის 16:55 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი